პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წითელი მეომარი

1923
სექტემბერი
28
პარასკევი
მზე ამ. 5 ს. 18 წ.
მზე ჩ. 7 ს. 18 წ.
შესან. მოვლენათა დღიური
1891 წ. გარდაიცვალა რუს. მწერალი გონჩაროვი.

წელიწადი მესამე.

რედაქციის მისამართი
ტფილისი სასახლის ქ. № 5
(ცენტ. წითელ-არმიელთა კლუბი)
რედაქცია ღიაა ყოველდღე გარდა კვირა უქმე დღეებისა 9—2 საათ.

ხელის მოწერის თვიური ფასი 3 მილ. მან.
დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები უნდა იყოს დაწერილი ცალ გვერდზე, სუფთად და მელნით ავტორის ხელის მოწერით. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

№ 369 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განყოფილების ყოველ დღიური გაზეთი. ფასი 100,000 მანეთი. № 369

# სამოქალაქო ომი გერმანიაში.

გერმანია საბოლოოდ დადგა სამოქალაქო ომის გზას. შტრეზემანის კოალიციური მთავრობა, რომელიც უძლურია თავი დააღწიოს არსებულ კრიზისს, ეძებს გამოსავალ გზას პასიურ წინააღმდეგობის შეწყვეტით რურში.

ამის შესახებ მან უკვე ოფიციალურად აცნობა ანტანტის ყველა სახელმწიფოებს, რომლებთანაც მოლაპარაკება დაიწყება ამ დღეებში. ამ რიგად შტრეზემანი ჰფიქრობს პუანკარეს მფარველობის ქვეშ თავიდან აიცილოს მომავალ სამოქალაქო ომის საშინელებანი და იხსნას თავისი შერყეული მდგომარეობა კაპიტულაციის გზით.

მაგრამ გერმანიის „ჰკვიანი“ პრემიერის ანგარიშება იმ ხვრეტიან პუანკარეს გაუმაძღრობის კედელზე. ჰხედავს რა პოლიტიკურ ფლირტის ლაბირინტებიდან გამოუსვლელ მდგომარეობას კოალიციურ მთავრობისას, რომელიც იძულებულია დაადგეს თითქმის ყოველგვარ დათმობის გზას სამოქალაქო ომის მოახლოვებისა და გერმანიაში არსებულ რღვევის გამო, გამარჯვებული საფრანგეთი არ კმაყოფილდება ამ დათმობით და ხმა მაღლა აცხადებს: „თუ რომ შეწყვეტილი იქნება პასიურ წინააღმდეგობა რურში,—მაშინ ეს შექმნის ახალ მდგომარეობას, რომელიც მოგვცემს გერმანიასთან მოლაპარაკების შესაძლებლობას.“

აქედან კი ცხადია, რომ საფრანგეთს სრულებით არ სურს გაათავისუფლოს რური, ის მხოლოდ თანახმაა განაახლოს მოლაპარაკება.

ხოლო ამავე დროს შემთხვევები ვითარდებიან ელექტრონის სისწრაფით, ანარქია და ქაოსი დღითი დღე მატულობს და იზრდება შემთანხმებელ სახელმწიფოს წინააღმდეგ. მოექანება აზვირთებული ტალღა პროლეტარული რევოლიუციისა.

მეორე მხრივ გერმანიის მონარქისტები ლიუდენდორფის მეთაურობით იჩქარიან გააქმნონ „ულტრული კოალიცია“ და გამოაცხადონ ფაშისტების დიქტატურა.

როგორც რადიო გადმოგვცემს ბავარიის ფაშისტები 15 ათასიან ჯარით დაიძრენ ბერლინის წინააღმდეგ და ომი გამოუცხადეს მას. ცხადია რეაქციის შემოტევა მოითხოვს მთავრობიდან სასწრაფო სასტიკ ზომებს კონტრრევოლიუციონური ტალღის უკუსაგდებად. მაგრამ ვერც „გაკოტრებული“ შტრეზემანის კოალიცია, ვერც ლიუდენდორფები და გინდენბურგები ოდნავადაც ვერ შესძლებენ გააუმჯობესონ პროლეტარიატის მდგომარეობა, არამედ უფრო გაამძიმებენ უღელს და გააძლიერებენ მუშათა კლასის ექსპლოატაციას.

შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს გერმანიის პროლეტარიატისა და კომუნისტური პარტიისაგან გამოაცხადონ ომი ორ ფრონტზე. მხოლოდ მუშათა კლასს შეუძლია და ღონე შესწევს გადაარჩინოს გერმანია სრული კრახისა და რღვევისაგან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით.

სამი მოწინააღმდეგეთა მხარეების ძალთა რაოდენობის სინამდვილე ნათლად და გარკვეულად გვეუბნება ჩვენ იმაზედ, რომ გამარჯვება დარჩება მუშათა კლასის და მის ხელმძღვანელ—კომინტერნის მხარეზე.

საერთაშორისო პროლეტარიატის ამოცანას წარმოადგენს—მთელი ძალ ღონით დაეხმაროს ასეთ საჭირო დროს გერმანიის ამხედრებულ პროლეტარიატს, და ამას ის შესძლებს მაშინ, როცა ის სამუდამოდ ჩაჩუმებს თავის ბურჟუაზიას და არ მისცემს გერმანიის პროლეტარიატის დახრჩობის ნებას. მაგრამ უმთავრესი და უშუალო იდეური და საქმიანი დახმარება უნდა გაუწიოს გერმანიის წითელ პროლეტარიატს საბჭოთა ფედერაციამ. მხოლოდ საერთო, მთლიანი შეტევით საერთაშორისო პროლეტარიატი შესძლებს საბოლაოდ ბურჟუაზიული სამეფოს დამხობას.

---

# საფრანგეთ-ინგლისის „მეგობრობა“.

ჩვენ ვლაპარაკობთ პუანკარესა და ბალდვინის შეხვედრაზე, რომელსაც ამ დღეებში ჰქონდა ადგილი პარიზში. ამ ორი ყაჩაღის შეხვედრის მიზანი იყო შეთანხმება და შეერთებული ძალით ტყავის გაძრობა გერმანიისათვის.

როგორც ცნობებიდან სჩანს საფრანგეთის და ინგლისის პრემიერები შეთანხმებულან. გაზეთების ცნობით ყოველგვარი დავა საფრანგეთსა და ინგლისს შორის ამოწურულია და კვლავ ჩამოვარდა მეგობრული განწყობილება ამ ორ სახელმწიფოს შორის.

მართლა ასეთია მდგომარეობა, როგორც ამას ბურჟუაზიული გაზეთები გვიხატავენ? რამ გამოიწვია წინათ განხეთქილება ინგლისს და საფრანგეთს შორის ან და დღეს რატომ ისევ „დამეგობრდნენ“.

ამ რამოდენიმე კვირის წინათ ინგლისის ნოტამ საფრანგეთისადმი სარეპარაციო საკითხის შესახებ, შეაშფოთა მთელი საფრანგეთი. მისმა გუშინდელმა მოკავშირე ინგლისმა მოითხოვა საფრანგეთის რურის ევაკუაცია და სხვა ისეთი გარანტიები, რომლის შესრულება საფრანგეთისათვის იქნებოდა სასიკვდილო განაჩენზე ხელის მოწერა. მაშინ მდგომარეობა ორ ყაჩაღურ სახელმწიფოებს შორის ისე გამწვავდა, რომ ომის საფრთხეზედაც კი სწერდენ და ლაპარაკობდენ. მაგრამ გავიდა ცოტა დრო და „საომრად გამზადებული“ სახელმწიფოები ისევ შეთანხმდენ.

როგორც ცნობილია, მთავარი დავის და უკმაყოფილების მიზეზი იყო და არის სარეპარაციო გადასახადები, ვალები რომლებიც გერმანიამ უნდა გადაუხადოს მოკავშირეებს და უმთავრესად საფრანგეთს. ამ მიზნით საფრანგეთმა დაიკავა რური, ინგლისის ნების წინააღმდეგ. რა თქმა უნდა ინგლისს ამის წინააღმდეგ მაშინ ხმა არ ამოუღია, მაგრამ მასაც საკუთარი მოსაზრებები ჰქონდა. ფიქრობდა: პუანკარე ფეხს მოიტეხს რურის დაკავებით, ის ვერ შესძლებს ვერც ვალების აღებას და ვერც გერმანიის დამორჩილებას, ამ დროს მე ჩავერევი საქმეში და ჩემ ინტერესებს ვუკარნახებ ერთსაც და მეორესაც.

მაგრამ ინგლისის იმედები არ გამართლდა. პუანკარე გამარჯვებული გამოვიდა რურის ოკუპაციიდან და დღეს ვხედავთ რომ გერმანიის ბურჟუაზიას ქედი მოახრევინა მის წინაშე. ასეთ მდგომარეობის დროს ინგლისს არ შეუძლია გარეშე მაყურებელის როლში დარჩეს და ისიც აქტიურ მონაწილეობას იღებს რურის და სარეპარაციო საკითხების გადაჭრაში. ამისათვის ინგლისის პრემიერი ბალდვინი გაემგზავრა პარიზში და პუანკარესთან გამართა თათბირი მომავალ მუშაობის შესახებ.

თუმცა ჯერ დაწვრილებით ცნობები აღნიშნულ მოლაპარაკებისა გამოქვეყნებული არ არის, მაგრამ ერთი კი დღესვე ცხადია: პუანკარე და ბალდვინი შეთანხმდენ გერმანიის გაძარცვის საკითხში.

გერმანიის ბურჟუაზიასაც არ სძინავს და ისიც ყიდის გერმანიის ხალხის ინტერესებს საფრანგეთ-ინგლისის იმპერიალისტებზე.

საფრანგეთ-ინგლისის ახალი „დამეგობრები“-ს მთავარი მიზეზი გერმანიის დღევანდელი ამბებია. გერმანიის პროლეტარიატი ემზადება ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ, მის მტრებს კი არ სძინავთ და ახალ ბორკილებს ჰკედავენ გერმანიის მუშათა კლასისათვის. ინგლისი და საფრანგეთის რევოლიუციის წინააღმდეგ საბრძოლველად, საბჭოთა ქვეყნების მშრომელი ხალხი კი უნდა მოემზადოს გერმანიის პროლეტარიატის დასახმარებლად. საბედისწერო დრო მოახლოებულია. გერმანიის რევოლიუციას ჩვენი დახმარება ესაჭიროება.

ს. პ.

---

# დეპეშები

**— ბულგარეთში აჯანყებები ძლიერდება. ჩრდილო გერმანიაში აღიარებულია რევოლიუციონური ხელისუფლება.**

**— ბულგარეთში ნახშირის მემაღაროე მუშებმა მიატოვეს სამუშაოები და იბრძვიან მთავრობის ჯარების წინააღმდეგ.**

**— დაბა ლაგვოზერეში ბელოქარელთა მიერ მოკლულ იქნა მოსაზღვრე კომ. წარმომადგენელი ამხ. ლავროვი და მძიმედ დაჭრილია ორის სხვა წარმომადგენელი.**

## გერმანიის ამბები

### პასიური წინააღმდეგობა შეწყვეტილია.

გუშინ გამოქვეყნებული იქნა ოფიციალური განცხადება გერმანიის კაბინეთის და საოკუპაციო ოლქების წარმომადგენელთა თათბირის შედეგების შესახებ. შტრეზემანმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ შეუძლებელია შემდეგში მიეცეს კრედიტების ასიგნობა საოკუპაციო ოლქებს; აგრეთვე აღნიშნა ის მდგომარეობა, რომ ყველა ცდები შეთანხმების მიღწევისა საფრანგეთთან უშედეგოთ დამთავრდა; უკანასკნელი წინასწარი პირობათა მოლაპარაკების განახლებისათვის მოითხოვს პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტას.

ამისათვის მთავრობამ აუცილებლად სცნო პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტა. საოკუპაციო ოლქების წარმომადგენლებმა, გარდა გერმანიის ნაციონალისტებისა მთავრობის პოზიციის მხარი დაიჭირეს. საბოლოო სიტყვაში შტრეზემანმა მიუთითა, რომ მთავრობა უარს არ იტყვის ამნისტიის მოთხოვნილებაზე საოკუპაციო ოლქებიდან გადასახლებულების დაბრუნების შესახებ.

### ერთსულოვნად გაჰყიდეს გერმანიის მუშათა კლასი.

კაბინეთის და გერმანიის ცალკე სახელმწიფოების პრემიერებთა თათბირზე მიაღწიეს სრულ შეთანხმებას პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტის საკითხის შესახებ. ყველა პრემიერებმა გამოსთქვეს სურვილი მხარი დაუჭირონ მთავრობას ყოველგვარ ცნობების წინააღმდეგ მიმართულს სახელმწიფოს მთლიანობის დარღვევისკენ.

მთავრობამ გამოაქვეყნა ინსტრუქციები, რომელიც აკავებს ადგილობრივ ხელისუფლებებს ყოველგვარ მღელვარებების დროს დაემორჩილონ მხოლოდ და მხოლოდ ცენტრალურ ხელისუფლების განკარგულებებს.

### შტრეზემანის თათბირი მრეწველებთან.

შტრეზემანის თათბირზე საოკუპაციო ოლქების მრეწველობის წარმომადგენლებთან მიღებული იქმნა გადაწყვეტილება, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მუშაობის განახლება უნდა გატარდეს განსაზღვრული გეგმის მიხედვით, რათა ამით აცილებული იქმნას ყოველგვარი სეპარატიული გამოსვლები ზოგიერთი მრეწველობისა.

# ბულგარეთში დგება ოქტომბერი.

ბულგარეთში აჯანყებულთა მოძრაობა ძლიერდება. ეხლა თვით გერმანიის მთავრობა სცნობს მოძრაობის საშიშროებას. მთავრობის ცნობაში 24 სექტემბრიდან არის შემდეგი: „ჩრდილო-ბულგარეთის რამოდენიმე ადგილებში აღიარებულია რევოლიუციონური ძალა-უფლება. მიღებულია ზომები აჯანყების ჩასაქრობათ.

### ბრძოლა საბჭოთა ხელის უფლებისათვის.

როსტას თანამშრომელთან საუბარში, ბულგარეთის კომპარტიის წარმომადგენელმა კომინტერნში, ამხ. სანჟენოვმა განაცხადა, რომ შემთხვევები ბულგარეთში—ეს ბრძოლაა მუშათა და გლეხთა ფართო მასებისა მუშურ-გლეხური ხელისუფლებისათვის. დევნამ, რომელიც დაწყებული იქნა ცანკოვის მთავრობის მიერ მიიზიდეს გლეხთა სიმპატია კომუნისტურ პარტიისადმი და მიიყვანეს მთლიან მუშურ-გლეხური ფრონტის შექმნამდე. მიმდინარე ომების მიერ დარბეული მშრომელთა მასები შეუერთდა საერთო მოძრაობას.

ბურჟუაზია ეცადა მოეწყო თავისი ერთიანი ფრონტი ბურჟუაზიული პარტიების ბლოკის სახით, და შექმნა ფაშისტური რაზმები; 12 სექტემბერს მთავრობამ იწყო შეტევა კომუნისტების დატუსაღებით და კომპარტიის კანონს გარეშე აღიარებით. ეს გახდა უშუალო საბაბი გაფართოებამდის მისულ ბულგარეთის მუშათა და გლეხთა საერთო, მჭიდრო ფრონტით გამოსვლისათვის მთელ ქვეყანაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იმპერიალისტები ყველგან ერთია.

იაპონიის სტიქიურმა უბედურებამ შეაშფოთა საბჭოთა ფედერაციის მუშები და გლეხები. მრავალ მილიონ ხალხის უბედურებას ჩვენი მშრომელი ხალხი გულცივად არ შეხვედრია. საბჭოთა რესპუბლიკამ თავისი წვლილი გაუგზავნა იაპონიის მშრომელ ხალხს. მაგრამ რა მოხდა? იაპონიის ბურჟუაზიამ პურით დატვირთული გემები „ლენინი“ და „სიმფეროპოლი“ არ მიიღო, ბრალდება წამოუყენა: თქვენ კომუნისტური ლიტერატურა მოგაქვთ ჩვენში. რა თქმა უნდა ეს საზიზღარი ცილისწამება იყო და მეტი არაფერი.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ლიტერატურით დამშეულ ხალხს ვერ გააძღებ. მართალია მუშებში საჭიროა აგიტაცია, კომ. ლიტერატურის გავრცელება, მაგრამ იაპონიაში ამ საქმის წარმოება დავალებული აქვს იქაურ კომუნისტურ პარტიას, რომელიც პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას.

დღეს კი იაპონიის უბედურება განსაკუთრებით თავს დაატყდა მშრომელ ხალხს და ამისათვის ჩვენც ჩვენი დახმარება მივაწოდეთ იაპონიის მუშებს და არა იმპერიალისტებს. იმპერიალისტები კი უკან აბრუნებენ ჩვენს პურს და რაღაც ქორებს იგონებენ. საქმე კი აი რაშია.

იაპონიის მთავრობამაც ძალიან კარგად იცოდა, რომ ჩვენს გემებზე ლიტერატურა არ იყო, მაგრამ ჩვენ პურს გაცილებით მეტი აგიტაციის გაწევა და ნაყოფის გამოღება შეეძლია, ვიდრე დამშეულ ხალხისათვის ლიტერატურის მიწოდებას. საბჭოთა პური—საგიტაციო პურია. საბჭოთა რესპუბლიკებიდან გატანილი ყოველი გირვანქა პური თვალსაჩინოდ ხდის მსოფლიო პროლეტარიატისათვის, რომ საბჭოთა რესპუბლიკები მტკიცდებიან, რომ მუშებს და გლეხებს აქვთ უნარი აღმშენებლობის და ახალი ცხოვრების შექმნის. ეს კი არაა სასიამოვნო იმპერიალისტებისათვის. იაპონიის იმპერიალისტები კი არაფერში ჩამოუვარდებიან სხვა იმპერიალისტებს. იაპონიის იმპერიალიზმი დააფრთხო საბჭოთა პურმა.

მაგრამ იაპონიის მუშები ამის ნებას არ მისცემენ იაპონიის იმპერიალისტებს.

იაპონიის იმპერიალიზმი ამითაც არ დაკმაყოფილდა. ის სტიქიურ უბედურებას იყენებს იმისათვის, რათა თავი გაინთავისუფლოს მოწინააღმდეგებისაგან მასსიურ დაპატიმრებისა და მკვლელობის საშუალებით. ამ დღეებში მომხდარი საზიზღარი მკვლელობა სოციალისტი საკაის სხვა არაფერია გარდა ჩვეულებრივი ფარულ მკვლელობისა მუშების ბელადის.

იაპონიის იმპერიალისტების მიერ მუშების ბელადების დევნის გამო, კომინტერნი მოუწოდებს ყველა ქვეყნის და იაპონიის მუშებს დს იმართავს, რომ იაპონიის მუშებმა შექმნან განურჩევლად მიმართულებისა მოქმედების კომიტეტი, მსოფლიო მუშებს კი მოუწოდებს გამოთქვან აღშფოთება იაპონიის მთავრობის საქციელის წინააღმდეგ.

იაპონიის მუშები შექმნიან ძლიერ კომ. პარტიას და მის მეთაურობით დაამხობენ ბურჟუაზიულ წესწყობილებას და დაამყარებენ მუშურ გლეხურ მთავრობას.

ს.

ამხანაგებო, სამხედრო კომისრებო, უფშემადგენლობავ, სამხკორებო, წითელ არმიელებო! დაეხმარეთ თქვენს გაზეთს ,,წითელ-არმიელს‘‘, გამოიწერეთ ის, მოაწყვეთ კოლექტიური ხელისმოწერა. გამოიჩინეთ მეტი ინიციატივა და ფართედ გაავრცელეთ თქვენი გაზეთი ,,წითელ-არმიელის არსებობა თქვენზედ არის სავსებით დამოკიდებული. ყველამ როგორც ერთმა ,,წითელ-არმიელის‘‘ დასახმარებლად!

მოსაზღვრე კომისიის წარმომდგენელი, ამხ. ლავროვი. მძიმედ დაჭრილია კომისიის წევრი ლედეუვი და გპუ-ს წარმომადგენელი, რომელიც მიეგება კომისიას საზღვარზე. მკვლელები საზღვარ გარეთ მიიმალნენ.

### ბალდვინის ავტორიტეტი შეირყა.

სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ დიდი ბრიტანეთის დომინიონები (მსხვილი ინგლისის კოლონიები: კანადა და სხვები) ძლიერ დაინტერესებულნი არიან პარიზის თათბირით პრემიერთა, ვინაიდან ისინი მოითხოვენ, რათა ინგლისმა აწარმოოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული უნდა იქნას, გერმანიის დახმარებისაკენ. ბალდვინის მდგომარეობა შეირყა ხმებით მისი კაპიტულიაციის შესახებ პუანკარეს წინაშე.

### საფრანგეთის წარმომადგენლის ყოფნის აუცილებლობა რუსეთში.

სენატორ დე-მონზი წერილში საფრანგეთის მინისტრისადმი ხაზს უსვამს საფრანგეთის წარმომადგენლობის საჭიროებას რუსეთში..

### საფრანგეთის წითელი ჯვრის რწმუნებული რუსეთში.

სამშაბათს მოსკოვს გამოემგზავრა საფრანგეთის წითელი ჯვრის რწმუნებული რუსეთში—დელან გრანჟე.

### სპარსეთი.

### რუსეთთან დაახლოება იწყება.

ს. ს. რ. კ-ს სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ჩააბარა შაჰს სარწმუნებულო ბარათები. მისასალმებელ სიტყვაში წარმომადგენელმა მიუთითა, რომ ის ძველებურად განაგრძობს მუშაობას ორი სახელმწიფოების პოლიტიკურად და ეკონომიურად დაახლოების საქმეში. საპასუხო სიტყვაში შაჰმა ხაზი გაუსვა, რომ მისთვის განსაკუთრებით ძვირფასია ყურადღება საკავშირო მთავრობისა, რომელმაც მოავლინა სპარსეთში დიპლომატი, ენერგიულად მომუშავე დაახლოვების საქმეში.

# ლოზუნგები უმაღლეს სასწავლებლებისათვის მსმენელთა მომკრეფ კამპანიისათვის.

1. წითელ სარდალთა სკოლა ის სამჭედლოა, სადაც იჭედება მუშურ-გლეხური ხელისუფლების გამარჯვება.

2. ბურჟუაზიული ხელისუფლების დროს ლაშქარს ხელმძღვანელობდა მემამულეთა და კაპიტალისტების შვილები. მშრომელთა ხელისუფლების დროს კი წითელი სარდლები უნდა იქნენ მუშები და გლეხები.

3. სარდალთა სკოლა არა მარტო სამხედრო საქმის სკოლაა, არამედ იგი კომუნიზმის სკოლაც არის.

4. წითელი სარდალი სამხედრო საქმის მასწავლებელია და წითელ მეომართა პოლიტიკური აღმზრდელიც.

5. წითელო ახალგაზრდობავ—შენ მოგწოდებს თავის წრეში წითელი კურსანტი—წითელი ლაშქრის სიამაყე.

6. წითელი კურსანტის ლოზუნგებია:

ომის იარაღის დაპყრობა,
რკინისებური ნებისყოფა,
მუშათა კლასის საქმისათვის და მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციისათვის უსაზღვრო თავდადება.
შეგნებული დისციპლინა,
შეურიგებელი მტრობა კაპიტალისადმი,
ზრდილობიანობა,
სიმარჯვე,
გაწვრთნილება.
მუდმივათ მზად ყოფნა თავის განწირვისათვის.

7. სამხედრო სასწავლებელთა კარები ფართოდაა ღია მხოლოდ მუშებისა და გლეხებისათვის.

8. ამხანაგებო, ჩაეწერეთ უმაღლეს სასწავლებელში.

**რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის სააგიტ. საპროპაგანდო განყოფილება.**

არმია, რომელიც შესდგება უმეტესად გლეხობისაგან უცხოა მთავრობისათვის და ახლოს სდგას ხალხის მასებთან. ცანკოვის ჩამოგდებით ბულგარეთში დამყარდება საბჭოთა ხელისუფლება.

### მდგომარეობა საათობით უფრო სერიოზული ხდება.

ბულგარეთის მთავრობის მტკიცება სამხრეთ-ბულგარეთის აჯანყების ჩაქრობის შესახებ, ბათილდება სოფიის ბურჟუაზიულ გაზეთების მიერ, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ბრძოლა გრძელდება და მრავალი სოფლები ფილიპპოპოლის ოლქისა იმყოფება აჯანყებულთა ხელში.

მთელ მხარეში გამოცხადებულია განსაკუთრებული მდგომარეობა. ლონდონის გაზეთები იუწყებიან რომ ბულგარეთის მდგომარეობა თან და თან სერიოზული ხდება. ბელგრადის გაზეთი „პოლიტიკა“ იუწყება გაცხარებულ ბრძოლის შესახებ ახალ ,,ზაგორაში‘‘, გაროვაში და სხვაგან ბრძოლაში მონაწილეობენ რამოდენიმე ათასობით მუშები და გლეხები.

### საერთო გაფიცვების წინ.

ბულგარეთის მთავრობას იმედი აქვს მნიშვნელოვან სამხედრო ძალისა და მაკიდონიის ორგანიზაციის დახმარების ქვანახშირის მაღაროებში პერნიკისა, მემაღაროების ნახევარმა რიცხვმა დასტოვეს რა მაღაროები, იბრძვიან მთავრობის ჯარების წინააღმდეგ. ელიან საერთო გაფიცვებს რკინისგზელთა და ფოსტა-ტელეგრაფის მომუშავეთა. რკინისგზის ხაზი სოფია—ფარნა მრავალ ადგილზედ გაფუჭებულია აჯანყებულთა მიერ, რის გამოც ჯარების მოძრაობა გაძნელებულია.

# სხვა და სხვა

### ინგლისის პრესა განგაშს სცემს.

პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტის შესახებ ცნობამ გამოიწვია საგრძნობი განგაში ინგლისის პრესაში, რომელიც ანგარიშს უწევს გერმანიაში სამოქალაქო ომის დაწყების შესაძლებლობას. ინგლისის საზოგადოების წრეებს ემჩნევა სიმპატიური განწყობილება გერმანიისადმი.

ოფიციალურ წრეებში აღნიშნავენ რომ, პასიური წინაღმდეგობის შეწყვეტით, რურის ოკუპაციის ხასიათი შეიცვლება გერმანიისათვის კეთილ სასურველად.

### ფინეთი.

**ჩვენი წარმომადგენლის მოკვლა.**

23 სექტემბერს, ღამით ქარელიაში, 150 ვერსით ფინეთის საზღვრიდან, დაბა ლაგვოზერეში, 8 ბელოქარელთა მიერ, რომლებიც მოსულნი იყვენ ფინეთიდან, მოკლულ იქნა ფინეთიდან დაბრუნებული მესამე

# ბულგარეთი რევოლიუციის ქარტეხილში.

ბალკანეთს მოედო რევოლიუციის ცეცხლი. თუ რამოდენიმე დღის წინათ ჩვენ ვწერდით, რომ ბალკანეთში მოსალოდნელია ახალი იმპერიალისტური ომები და სისხლის ღვრა, რომელსაც იწვევენ იმპერიალისტები თავის მიზნისათვის,—დღეს ჩვენ მოწამენი ვართ ბალკანეთში რევოლიუციის დაწყების. პირველი ამ შემთხვევაში არის ბულგარეთი: იქ დაიწყო რევოლიუციონური მოძრაობა ფაშისტურ მთავრობის წინააღმდეგ. ეს მოძრაობა გადავიდა სამხრეთ სლავიაში და იმედი გვაქვს მთელ ბალკანეთს მოედება სოციალისტურ რევოლიუციის ალი და დასწვავს დამყაყებულ ბურჟუაზიულ შენობას.

9 ივნისს ბულგარეთში მოახდინეს სახელმწიფო გადატრიალება ფაშისტებმა, სტამბულინსკის გლეხური პარტია, რომელიც აქამდის სათავეში ედგა სახელმწიფოს, დაეცა და ქვეყნის მართვა ხელში იგდო ბურჟუაზიამ ცანკოვის მეთაურობით.

როგორც ცნობილია, ბულგარეთი გლეხური ქვეყანაა და იქ გლეხური პარტიაც ძლიერი იყო, მაგრამ სტამბულინსკის მერყევმა პოლიტიკამ მიიყვანა ის დამარცხებამდე. გადატრიალების დღიდანვე ბულგარეთში დაიწყო გლეხური მოძრაობა ცანკოვის მთავრობის წინააღმდეგ, მაგრამ ის უძლური აღმოჩნდა და დამარცხდა. ამ დროს დიდი და თანაც საბედისწერო შეცდომა დაუშვა ბულგარეთის კომუნისტურ პარტიამ. როდესაც გლეხებსა და ფაშისტებს შორის ბრძოლა გამწვავდა, კომ. პარტიამ უაზრო ნეიტრალიტეტი გამოაცხადა და განზე გადგა, უარი თქვა ბრძოლაში მონაწილეობის მიღებაზე.

კომუნისტურ პარტიამ ვერ სცნო მაშინ ბულგარეთი მომზადებულად რევოლიუციისათვის და ხელსაყრელ დროს უცდიდა.

ბულგარეთის ახალ მთავრობამ კი დღიდანვე ძალა უფლების ხელში ჩაგდებისა მთელი ძალღონე მიმართა კომუნისტების წინააღმდეგ. ასე რომ ბულგარეთის კომპარტიას საკუთარი შეცდომების შედეგი თავს დაატყდა.

ბულგარეთის კომ. პარტია—საკმაოდ ძლიერი და გავლენიანი პარტიაა არა მარტო ბულგარეთში, არამედ მთელ ბალკანეთში. მუშათა მასსები მას დაპყრობილი ყავს და გლეხობაშიაც დიდი გავლენით სარგებლობს. ამისათვის იყო, რომ ბულგარეთის ყველა მთავრობები ანგარიშს უწევდენ კომ. პარტიას. ზოგი მასთან კომპრომისებზე მიდიოდა (როგორც მაგ. სტამბულინსკი), ზოგიც კი აშკარა ბრძოლას აწარმოებდა. უკანასკნელ გზას დაადგა ცანკოვის მთავრობა. მან სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა კომუნისტურ პარტიას და ყოველგვარ საშუალებებს მიმართავდა კომ. პარტიის წინააღმდეგ. ცილისწამებით და პროვოკაციით ფიქრობდა პარტიისათვის სახელი გაეტეხა და გავლენა შეესუსტებია. ბოლოს კომუნისტებს სახელმწიფოს ღალატი დასწამა და ასობით და ათასობით კომუნისტები ციხეებში მოამწყვდია. საშინელი რეაქცია გამეფდა ბულგარეთში. ყოველგვარი რევოლიუციონური ორგანიზაციები დანგრეული—განადგურებული იქმნა და კომუნისტური პარტია კანონ გარეშე გამოაცხადა ცანკოვმა. ფაშისტური მთავრობა საბაბს ეძებდა, რათა გასწორებოდა კომუნისტურ პარტიას და ამის საბაბიც იპოვა. კომუნისტები სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებენო—განაცხადა ცანკოვმა.

ცანკოვის მთავრობა დღითი დღე კარგავდა ნიადაგს და მან თავისი შხამი კომუნისტებზე გადმოანთხია. მაგრამ უმუხთლა ბედმა. ბულგარეთის მშრომელმა ხალხმა მას არ მისცა ნება რევოლიუციონურ პარტიის სისხლში ჩახრჩობის და გამოუცხადა ფაშისტურ მთავრობას ბრძოლა.

დაიწყო ბულგარეთში რევოლიუციონური აჯანყებები, რომლებსაც კომუნისტები მეთაურობდენ. აჯანყებებმა ფართო ხასიათი მიიღეს და ბულგარეთს მოედო რევოლიუციის ალი. მთელი ბულგარეთი რევოლიუციის ცეცხლში გახვეული, რევოლიუციონური მთავრობა შედგა. კიდეც ცანკოვის მთავრობის ჯარები სასტიკად მარცხდებიან. აჯანყებულ მუშების და გლეხების ხელშია ბულგარეთი. ცანკოვის მთავრობა გადადგა.

ბულგარეთში რევოლიუცია თითქმის გამარჯვებულია. ბულგარეთის მშრომელმა ხალხმა კომ. პარტიის მეთაურობით შესძლო სისხლის მსმელ ფაშისტურ მთავრობის დამხობა და ძალა-უფლების ხელში აღება.

ბულგარეთის ამბები დიდ გამოძახილებს პოებენ ბალკანეთის სხვა სახელმწიფოებში. მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის ჟამი მოახლოვდა. საბჭოთა ქვეყნებს მართებს სადარაჯოზე ყოფნა მსოფლიო პროლეტარიატის დასახმარებლად.

ს. პ.

ჩვენს წითელ ჯარში

### სასურველი პოლიტხელი.

ცალკე საკავშირო ასეულში პოლიტგანმანათლებელი მუშაობის საქმე ძლიერ კარგად არის დაყენებული. სისტემატიურათ მიმდინარეობს ამ დარგში მუშაობა, რაიც უნდა მიეწეროს აქაური პოლიტხელის ამხ. მაჩიტაძის ენერგიულ და დაუზოგავ მუშაობას. ამხ. მაჩიტაძე ნამდვილი პოლიტ-ხელია, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ის მუდამ დღედამ წითელ არმიელებთან არის განუყრელათ და არ გამოეპარება არც ერთი უბრალო შემთხვევა აღძრული ყაზარმაში რომ ამაზედ მან არ აუხსნას ამხ. წითელ არმიელებს, წითელ არმიელებსაც უყვარს ის და უსმენენ გულმოდგინეთ. ასეთი პოლიტ-ხელი საძებნელია ჩვენ დივიზიაში; ვაშა მის ენერგიულ მუშაობას! ძველი საკითხველოს გამგე თარხანოვი იქმნა გადაყენებული და დაინიშნა ახალი — ამხ. ჩხიკვიშვილი, იმედია ის მაინც დააყენებს საკითხველოს საქმეს თავის სიმაღლეზედ. დანარჩენი ნაკლი ჩვენს ნაწილს აღარ აქვს და მომავალში იმედია არ ექნება

**გოგიტო ციმბირელი.**

---

### კოოპერატივი მე-3-მე ლეგიონში

ივნისის რიცხვებში, როდესაც ჩვენი ლეგიონი ჩამოვიდა სააგარაკოთ განზრახული იყო შექმნა კოოპერატივი, რომ წ. ლაშქრელებს თავი დაეხწიათ კერძო ვაჭრებისაგან და არ ჩავარდნოდენ ხელში სპეკულიანტებს. როგორც იყო დიდის ვაი ვაგლახით მოეწყო კოოპერატივი, რისთვისაც ყველა წ. არმიელები და უფ. და პოლიტ-შემადგენლობა ძლიანი მოხარული იყო, მაგრამ საქმე სულ სხვანაირათ დატრიალდა და იმედები არ გაუმართლდათ. ეს კოოპერატივი ღიაა მხოლოდ კვირაში ერთხელ და არის შემთხვევა ისე გაივლის ათი თორმეტი დღე რომ კოოპერატივს ღიას ვერ ნახავ, გამგე სანთლით რომ ეძებო ვერ იპოვით და წ.-არმიელები იძულებული არიან იყიდონ საქონელი კერძო ვაჭრებთან. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს რომ კოოპერატივი იყოს თავის დონეზედ და წ. არმიელები არ უვარდებოდენ ხელში კერძო ვაჭრებს.

**შრომის შვილი**

## სამხედრო რევტრიბუნალი

ა. წ 28 სექტემბერს ქართულ დივიზიის სამხედრო ტრიბუნალი გაარჩევს საქმეს ყოფილ ძირითად სამოსწავლო ათასეულის კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარის მიხეილ შენგელიასი და იმავე კოოპერატივის გამგ. წევრის ლავრენტი ლოლუას. გასული წლის სექტემბერში ხსენებულმა ბრალდებულებმა მიითვისეს კოოპერატივის ფული 34.400.000 მან. და რომ დაეფარათ ასეთი ბოროტმოქმედება, მოახდინეს ქურდობით სიმულიაცია; ე. ი. გამოჭრეს თვით კოოპერატივის კედელი სწორეთ იმ ადგილას სადაც იდგა კოოპერატივის კასა იმ მიზნით, რომ ასეთი მოქმედებით დაეჯერებიათ ათასეულის ადმინისტრაცია, რომ აღნიშნული ფული წაიღო. ბოროტგამზრახველებმა კოოპერატივის კედლის გამოჭრის საშუალებით, ამასთანავე ბრალდებულებმა ლოლუამ და შენგელიამ ათასეულის ქალაქ სურამში ბანაკათ ყოფნის დროს გასულის წლის ზაფხულში გაფლანგეს კოოპერატივის საქონელი მაშინდელ ფასობაზედ 77.829 000 მან. ე. ი. ჩაიდინეს ბოროტმოქმედება გათვალისწინებული ს. ს. კ. 116 მ. 11 ნაწ.

საქმის განხილვა დაიწყება დილის 9 საათზედ სასამართლოს ქ. № 32. სამხედრო ტრიბუნალის აუდიტორიაში. დასწრება ყველა მოქალაქეს შეუძლია.

## პარტიული ცხოვრება

### პირველი ლეგიონი

1923 წ. 22 სექტემბერს მოხდა 1 ლ კომუჯრედის 29 წევრის და 35 უპარტიო მოლაშქრის შეერთებული კრება.

დღის წეს-რიგში იყო საერთაშორისო მდგომარეობის გაცნობა, რომელზედაც მოხსენება გააკეთა ამხ. მრელაშვილმა და ნათლად დაასურათა მსოფლიოს ორ ბანაკად დგომა, ფაშიზმის გაძლიერება, გერმანიის ამბები და სხვა, რომელზედაც გამოტანილ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია:

მოვისმინეთ რა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე, ჩვენ პირველ ლეგიონის კომუჯრედის წევრები და უპარტიო მოლაშქრენი ვითვალისწინებთ რა ყველა იმ სურათებს, რაც ეხლა ხდება ფაშიზმის საშიშროებით, გერმანიის სოციალ-გამყიდველთა პოლიტიკით და იქაურ პროლეტარიატის გამოფხიზლებით, ჩვენ გვწამს ძალა მსოფლიო პროლეტარიატისა და გერმანიაში ახლო ხანში ოქტომბრის რევოლიუციისა, სადაც დამყარდება მუშურ-გლეხური ხელისუფლება — ჩვენ, როგორც მუშათა და გლეხთა შვილები მზად ვიქნებით მათს დასახმარებლად, თუ-კი ამას მოითხოვს საჭიროება.

ძირს შემთანხმებელი პარტიები!

ძირს ფაშიზმი!

გაუმარჯოს გერმანიის და მთელი მსოფლიოს ოქტომბერს!

გაუმარჯოს წითელ ლაშქარს, იმედს კომუნიზმისას!

**ქ·ი**

### მანევრები მე-3-მე ლეგიონში.

დილაა. ჯერ კიდევ არ გათენებულიყო რომ გამაღვიძებელი დადის მორიგე მეთაური ასეულში და ეუბნება ასეულების და ჯგუფის თავებს რაღაცას. ასეულის თავებმა უბრძანეს ზემდეგებს რათა დაეყენებიათ ხალხი ამოკითხვაზე. გათავდა ამოკითხვა და დაიწყო ასეულის თავმა: ამხანაგებო, დღეს ჩვენ მივდივართ მანევრებზედ და გვექნება ბრძოლა ჩვენს მოწინააღმდეგე მტერთან, და იქნება შეტაკებები და სხვა. ამხ. ასეულის თავო, აი ეს ყალბი ვაზნები დაგვირიგეს, არც ერთს მათგანს გულა არა აქვს და ეს საომრათ არ გამოგვადგება. არა ამხანაგო, მიუგო ასეულის თავმა ეგ ვაზნები უბრალოა შიგ მარტო წამალი ყრია შესაშინებლათ. როგორ შესაშინებლათ, მაშ ბრძოლაშიდ არ მივდივართ? არა ამხანაგო, ბრძოლა კი არის პრაქტიკული ბრძოლა და იქ გამოგვცდიან ვინ უფრო კარგი გამოდგება და ვინ არა მაშ. შეტაკება ვისთან მოგვიხდება? ვისთან და ჩვენს ამხანაგებთან, მაგრამ ისინი ვითომ მტერია ჩვენი, და ერთი მეორეს შევებრძოლებით აი ამ უბრალო ტყვიებით და ის რომ უბრალო არ იქნეს, ჩვენსავე ამხანაგებს მოვკლავთ. აი ეხლა კი მივხვდი რაში ყოფილა საქმე. ამ დროს კიდევ მოვიდა განკარგულება და დაიძრა ჩვენი ლეგიონი წინ. მუზიკა მიდის და უკან სიხალისით აღტაცებული წ. არმიელები ერთი მეორეს ეჯიბრებიან სიარულში და გულის ფანცქალით უცდიან განკარგულებას და უფროსების ყოველს მოქმედებას გაფაციცებით ადევნებენ თვალ ყურს. გავედით ტიალს მინდორზედ და მთელი ლეგიონი გაგვაჩერეს და ცოტა ხნის შემდეგ ყველა ასეულები ცალ ცალკე დაიყო და ზოგი ერთ მხარეს წავიდა და ზოგიც — მეორეს, — გავიდა ცოტა ხანი და უეცრათ გავარდა ჩვენს მარჯვნივ თოფი, არ გასულა ორი წუთი და წინიდგანაც მოისმა თოფის ხმა: ტუ. ტუ. ტუ! მარჯვნივ და მარცხნივ შარში... გაიშალეთ! დაგვიძახა გუნდის უფროსმა და ერთ წუთში გავიშალეთ შარში და დაუწყეთ ჩვენც ჩვენს მოწინააღმდეგეს სროლა. კიდევ მოვიდა ბრძანება მარცხნიდან და მარჯვნიდან გადარბენა ოცი ფეხის ნაბიჯით წინ, გადარბენა ჯგუფობით, პირველი ჯგუფი იწყე!.. და წ. არმიელებიც გაფაციცებით გადარბიან წინ და თან თოფებსა და ტყვიის მფრქვევლებს გააქვს ყოველის მხრიდგან კაკანი: ტუ. ტუ. ტუ. ტრუ. ტატატა! ტყვიამფრქვევი! შეიქნა გაცხარებული ბრძოლა. ასეულო-წინ, და ჩვენც ავდექით და მივყევით ასეულის თავს. მტერზედ, ვაშა, ვაშაა, ვაშაა! — გაისმა ყოველს მხრიდგან ძახილი და მივესიეთ მტერს. ერიჰაა, დახე, როგორ გავიმარჯვეთ ნიკო უთხრა პეტრემ ნიკოს. გავიმარჯვეთ მაშ! მიუგო ნიკომ, ნეტავი ეს მანევრები კიდევ იქნებოდეს, წამოიძახა ვანომ. არა ამხანაგო მანიოვრები მოთავდა და ეხლა ჩვენს ბანაკს დავსტოვებთ და ყაზარმებში დავბრუნდებით, გვითხრა გუნდის უფროსმა.

**შრომასშვილი.**

## საერთო კრება

კვირას ა. წ. 23 სექტემბერს შესდგა უმცროს მეთაურთა და პოლიტ-ხელთა მოსამზადებელ სკოლის საერთო კრება.

დღის წესრიგში იყო: ა) სრულიათ საქ. მენშევიკურ პარტიის დაშლის შედეგები, ბ) მოხსენება მუშათა და გლეხთა ინსპექციის დამხმარე ჯგუფის და ახლის არჩევა, გ) კოოპერატივის გამგის არჩევა დ) მიმდინარე კითხვები.

პირველ კითხვის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ბაახიამ, რომელიც

---

## დენთის დამზადება.

### უკვამლო დენთი.

უკვამლო დენთის დასამზადებელ უმთავრეს მასალას შეადგენს ნიტროქსოვილი (აზოთის სიმჟავით დამუშავებული ბამბა), ნიტროგლიცერინი) და ნიტრო*) შეერთებათა მთელი რიგი. ამ შეერთებათა სროლის საქმეში მოხმარებას შეეცადნენ ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ნახევარში, მხოლოდ საბოლოვოდ იგი დამკვიდრდა წარსულ საუკუნის ოთხმოციან წლებში.

უკვამლო დენთები სამგვარია: წმინდა ნიტრო ქსოვილი და პიროქსილინი, ნიტროგლიცერინი და ნიტრონახშირწყალბადები.

პიროქსილინის უკვამლო ვიელის დენთი პირველად წარსულ საუკუნის ოთხმოციან წლებში საფრანგეთში იყო შემოღებული სროლის საქმეში. მის დამზადებას ახლაც დიდ საიდუმლოებათ იცავენ, მხოლოდ სხვა და სხვა სახელმწიფოში შეეცადენ მის დამზადებას და ბოლოს მიაგნეს მის საიდუმლოებას. დამზადებისათვის ილებდენ უმაღლეს ნიტრიან ქსოვილს, რომელშიც 13 პროცენტი აზოთი შედიოდა და უმდაბლეს ნიტრიანს, რომელშიაც 11—11,2 პროცენტი აზოთი შედიოდა. ნარევს იმ ვარაუდით ილებდენ, რომ ერთმანეთში გადარეულში — აზოთის განსაზღვრული რაოდენობა შესულიყო და იმავე დროს მას შესძლებოდა აქროლი გამხსნის საშუალებით მკვრივ ხოშა (კოლოიდალურ) ფორმებათ გადაქცეულიყო. სხვა და სხვა დანიშნულების დენთების მიხედვით, ნარევში აზოთი უნდა შედიოდეს 12-დან — 12,75 პროცენტამდე. ორივე ნიტროქსოვილს ილებენ წვრილად დაკუწულს. გამოშრობის შემდეგ, ნარევს წებოვანში (ჟელატინიზაციაში) გაატარებენ, ე. ი. ამა თუ იმ მცირეოდენ რაოდენობას აქროლი გამხსნით შეამუშავებენ, აილებენ რა 100 ნაწილ მშრალ ნაკუწებზედ გამხსნის 100—200 ნაწილს. ყოველმხრივ დაშხულ (გერმეტიულ) ამრევლებში 2—4 საათის განმავლობაში არევით მიიღებენ, სორსოლებათ დაყოფილს, მაგარ ცომს, რომელიც შეკუმშვისას გადაიქცევა მკვრივ, ნახევრად გამჭვირვალე ფირფიტებათ. აქ ცხადია, რომ ამ ფირფიტებში ის ქსოვილი, რომელსაც არ შეეხო გამხსნი, გაიჟღინთება და მიეწებება სხვა ქსოვილებს ხსნილით. მაშინ მასსა მიაგავს გაუმაგრებელ წებოს ან ჟელეს (საიდგანაც წარმოიშვა ჟელატინიზაცია). ცომის მიღებული მაგარი სორსოლები თანგის საშუალებით გარდაიქცევა ამა თუ იმ ფორმის დენთად. უმთავრესათ ფირფიტის ფორმისას ხმარობენ, ამასთან დენთის ყოველ მარცვალს აქვს სწორგვერდიანი ოთხკუთხედის ფორმა, ან ცოტად თუ ბევრად მოგრძო ლენტის ფორმა. იშვიათად ხმარობენ ცილინდრიან ფორმის, ხვრელიანს, ეგრეთ წოდებულ მაკარონის ფორმისას. დათანგული დენთი ამის შემდეგ უნდა გამოშრეს თავისუფლად მარუნავ ჰაერით, ჯერ ჩვეულებრივ ტემპერატურაზედ და შემდეგ კი საბოლოვოდ 50 გრადუსამდე შეთბობით.



მხოლოდ ეს საშუალება მეტად სახიფათო იყო, ვინაიდან ადვილად იფეთქავდა. ამ ხიფათის ასაცილებლად, გამოჩენილმა რუსმა მეცნიერმა პროფ. მენდელეევმა 1890 წელში წინადადება შეიტანა გამოშრობის მაგიერ, 95 პროცენტიან სპირტით გარეცხვა. აქ, უეჭველია, გარეცხვის შემდეგ ცომიდან სპირტი უნდა გამოწურულიყო, რათა სათანადო ეთერის მიმატებით, ჟელატინიზაციისათვის, ჩვეულებრივად, 150-200 ნაწილს სპირტს ან ეთერს ილებენ და 100 ნაწილ მშრალ ჰენჰს ცომის მოსაზელ ხელსაწყოში ერთმანეთში 2—4 საათის განმავლობაში აურევენ. მოზელის შემდეგ ცომს გადასცლიან დახშობილ ყუთებში. (იხილე ფიგ № 1.)



წებოს მაგვარ ნივთიერებას, სხვა და სხვა მოყვანილობის მისაცემათ, გაატარებენ სათანადო ფორმის ხვრელებიან ქალიბებში. გამოშრობის შემდეგ სჭრიან წვრილად უმთავრესათ, ოთხ-კუთხიან, თითქმის კვა რატიულ ქაცვებათ და ლენტ სახით ხმარობენ. თვით გამოჭ

---

*) ნიტრო ემატება ყველა იმ ნივთიერებას, რომელიც აზოთის სიმჟავით დამუშავებული და შიგ აზოთის შეერთება შედის. გ. ბ.

შეეხო: ბოლშევიკ-მენშევიკების წარმოშობას და მათ მიზანს, განხეთქილებას, ცალკე პრაქტიკის ჩამოყალიბებას და მათ ტაქტიკას გ) თებერვალ ოქტომბრის რევოლიუციას. საბჭოთა ხელისუფლებას და „მენშევიკურ პარტიის საქმიანობას დ) საქ, დამოუკიდებლობა', მენშევიკურ გახრწნას მუშათა კლასისა და სოციალიზმისადმი. ე) აჯანყებებს სხვა და სხვა კუთხეებში, ბრძოლებს მეზობელ რესპუბლიკებთან — საბჭოთა რუსეთთან და საზიზღარ კავშირს დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიასთან ვ) სიყალბეს ორ და ორნახევარ ინტერნაციონალის, ი) დაშლას ყველა ბურჟუაზიულ პარტიებისას ყველა ქვეყნებში, ზ) საქ. მენშევიკურ პარტიის ყრილობას, მათ რეზოლიუციებს, რომლითაც დგებიან კომინტერნის პლატფორმაზე და სხვ.

მოხსენება მიღებულ იქნა ცნობათ და ერთხმათ გამოიტანეს შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა მოხსენება უმცროს მეთაურთა სკოლის სამხკომის, ამხ. ბახიასი სრულიათ საქ. მენშევიკურ პარტიის დაშლის შესახებ, რომელმაც ვრცლათ, მდაბიო გასაგები ენით დაასურათა ზემოაღნიშნული კითხვა ჩვენ უმცროს მეთაურთა და პოლიტხელთა მოსამზადებელი სკოლა საერთაშორისო მუშათა გამოფხიზლებას დაშლას მოწინააღმდეგე პარტიებისას ყველა ქვეყნებში—საქართველოში და მთელ საბჭოთა რუსეთში სავსებით გაქარწყლებას, შევყურებთ სიამაყით და ვიძლევით მხედრულ სიტყვას, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ —მედგრათ და ვიცავთ მსოფლიო დახოცილ რევოლიუციონრების გამონახულ სწორ გზას კომუნიზმისაკენ კომინტერნის დროშის ქვეშ.

მეორე და მესამე კითხვა მოწესრიგებულ იქნა მიმდინარე კითხვებში, იყო მრავალი შეკითხვები, რომელზედაც შესაფერისი - დამაკმაყოფილებული პასუხი გასცა სამხკომმა, ამხ. ბახიამ. დასასრულ ამხანაგი მოუწოდებს კურსანტებს დაკისრებულ მოვალეობის კეთილ სინდისიერათ შესრულებისაკენ. კრება სრულდება მხურვალე ტაშით, რომელსაც ფარავს ინტერნაციონალი.

**ე. ცომაია.**

# რას აკეთებს საექიმო პერსონალი.

სანამ მე შეუდგებოდე დედა აზრს ჩემი წერილისას, საჭიროდ მიმაჩნია ორიოდე სიტყვის თქმა მაზედ, თუ როგორი ტემპით მიმდინარეობს ჩვენს ჯარში სანიტარულ უცოდინართა ლიკვიდაცია და შემდეგ თუ რაზედ უნდა იქნეს მიქცეული უმთავრესი ყურადღება ამ დარგში.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ჯარში ხელი მიყვეს სანიტარულ უცოდინართა ლიკვიდაციას და ამ მიზნის სისრულეში მოსაყვანად, როგორც ამიერ-კავკასიის ცალკე არმიის სხვა ნაწილებში ისე ქართულ ჯარშიც შემოღებულია კვირაში ერთხელ სანიტარული საათი, რომელზედაც ესწრება წითელ-არმიელები და ისმენენ სათანადო ლექციას. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მას ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზი ელობება წინ. ყველასათვის ცხადია ის თუ რამდენი წერილები იწერება და იწერებოდა წინათ წითელ არმიელებთან მეცადინეობის შესახებ. როგორი მეთოდით უნდა სწარმოებდეს მეცადინეობა, ძველი ლექციური მეთოდით თუ ახალი კითხვა-პასუხით და საუბრის სახით, აი როგორ იყო საკითხი დაყენებული სულ ორი თუ სამი თვის წინეთ. ბევრ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ უარყოფილ იქნა პირველი და შემოიღეს უკანასკნელი მეთოდი რომელიც სავსებით შეითვისა ჩვენმა პოლიტ-მომუშავეებმა.

რაც შეეხება სან-საათს, მას ატარებს ერთ-ერთი წევრი ამა თუ იმ ნაწილში საექიმო პერსონალიდან და ამ ამხანაგებს ეს მეთოდი ჯერაც ვერ აქვთ შეთვისებული, რაც ერთ-ერთ დამაბრკოლებელ მხარეს შეადგენს სან-საათის სისწორით წარმოებაში. მეორე ეს ის არის, რომ არ არის მიქცეული სათანადო ყურადღება პრაქტიკულ მხარეებზე. ლექტორმა წაიკითხა ლექცია ამა თუ იმ თემაზე, რომელიც ეხება სანიტარულ დარგს, მორჩა და გათავდა, მას გონია რომ ამით ამოსწურა ყოველივე. მაგალითად დივიზიაში თითქმის არც ერთ ნაწილს არ გაუმართავს ექსკურსია წითელ-არმიელების აღნიშნულ დარგში ცოდნის გასაღრმავებლად და მათ წასახალისებლად. ლექტორმა მთელი საათი ელაპარაკა წითელ-არმიელებს რაღაც მიკრობებზე — რა იქნებოდა, რომ ამ ექიმსვე წაეყვანა ეს წითელ-არმიელები და მიკროსკოპით ეჩვენებია მათთვის ბაქტერიები თუ მიკრობები, ან იქ სადაც მზადდება ასაცრელი შრატები ან ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიაში და სხვა. შეიძლება აღნიშნული ექსკურსიები ბევრს უადგილოდ ეჩვენოს მაგრამ ჩემის აზრით მას დიდი მნიშვნელობა აქვს გავლილის შეთვისების მხრივ.

მესამეთ შეიძლება ითქვას ის, რომ ჩვენი ექიმობა ძალიან გულგრილად ეკიდება ამ საქმეს. ჩვენ გაზეთ „წითელ-არმიელის“ ფურცლებზე იწერება ყოველგვარ მეცნიერების დარგზე, (თუ არ მივიღებთ მხედველობაში საექიმოს) რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს წითელ-არმიელისათვის. რაც შეეხება მედიცინაზე, სანიტარულ ცოდნა განვითარებაზე აქ თქვენ ვერაფერს ნახავთ—აი სწორედ აქ მოსჩანს სისუსტე ჩვენ სან-ლექტორებისა და ამაზედ მინდა მივაქციო მომავალში მათი უმთავრესი ყურადღება.

ამ წერილით მე ჯერ ჯერობით ავღნიშნე ფაქტი, დანარჩენი კი მიმინდვია ჩვენი ექიმებისათვის და იმ მუშაკებისათვის, რომლებიც მუშაობენ ამ დარგში. არ არის საკმარისი მარტო მშრალი ლექცია და ისიც ერთხელ კვირაში, საჭიროა მეტი უნარიანობის და მეტი ინიციატივის გამოჩენა. სანიტარული ცოდნა განვითარება აუცილებელ-საჭიროებას წარმოადგენს წითელ არმიელებისათვის. ამისათვის ამხანაგო ექიმებო დროა შეგნოთ რომ თქვენი მოვალეობაა ამ დარგში წითელ-არმიელების სათანადოთ მომზადება. ამ მიზნისათვის გამოიყენეთ ჩვენი გაზეთი „წითელ არმიელი“ სწერეთ სათანადო შინაარსის წერილები; მოკლე მდაბიო ენით, წითელ არმიელს უყვარს თავისი გაზეთი და სიამოვნებით გადაიკითხავს იმ წერილს, რომელიც მასში იქნება მოთავსებული. გამოიყენეთ შინაარსიანი ექსკურსიები, გამოიწერეთ საექიმო ატლასები და ამ გვარად ჩაებით წითელ-არმიელთა განვითარების საერთო ფერხულში. გახსოვდეთ, რომ ექიმობით ჩვენ ვარჩენთ ერთ ან ორ ავადმყოფს; იმ მიზეზების მოსპობით კი, რომელიც იწვევს ავადმყოფობას ჩვენ ვიხსნით უბედურებისაგან ათასობით მუშებს და გლეხებს. ხოლო ავადმყოფობის გამომწვევ მიზეზებს ჩვენ შეგვიძლია წინააღმდეგობა გავუწიოთ და მოვსპოთ იმ შემთხვევაში, როდესაც თითეული მოქალაქე იქნება სათანადო სანიტარული ცოდნით აღჭურვილი. ამ დარგში თქვენ უნდა გადაიქცეთ იმ ჩირაღდნად, რომელიც გაუფანტავს უკუნეთით მოცულ სიბნელეს.

იმ დროს, როდესაც ჩვენ გარს შემორტყმული ვართ იმპერიალისტური სახელმწიფოებით, რომლებიც ლამობენ სისხლის მორევში ჩაახრჩონ საბჭოთა ქვეყნები, ჩვენ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს გვყავდეს ძლიერი არმია საკმაოდ მომზადებული და განვითარებული როგორც სამხედრო და პოლიტიკურის მხრით, ისე სანიტარულ ცოდნითაც რომ შიშის თავზარი დასცეს დასავლეთ ევროპის გახრწნილ გონება დაკარგულ იმპერიალისტურ სახელმწიფოების მესვეურებს, რომ შესძლოს ჩვენმა წითელ არწივებმა შეიტანა კომუნიზმის წითელი დროშისა იქ იმ სამეფოში, სადაც დღეს გადამწყვეტ ბრძოლისათვის ირაზმება პროლეტარიატი სადაც ფეხებ გაჭიმული უკანასკნელ სულსა ლევს გახრწნილი კაპიტალი.

**წ. არ. ერმა.**

ტას პორანის სისტემის თანგით აწარმოებენ. (იხ. ფიგ 2.)

ჩვეულებრივ სითბოზედ, თანგიდან გამოსული ლენტები აორთქლებენ გამხსნის უმთავრეს ნაწილებს, რისთვისაც ისე სთანგავენ, რომ გამხსნის ორთქლი ტყუილუბრალოდ არ იკარგებოდეს და დენთის საწარმოებლად გამოდგეს,



რაც დამზადებას მნიშვნელოვანად აიაფებს. როცა ამ გვარი აორთქლებით, გამხსნის რაოდენობა ეცემა 12—20 პროცენტამდე, გამხმარი ლენტები მოიკრუნჩხება, ხორკლიანი და არა თანაბრივი სისქისა ხდება. ამ ნაკლს სათანადოთ დაშორებულ, გამთხელებელ ტაბუცებით (ვალსკ) აწორებენ. თანაბარ გვერდებიან, ოთხკუთხედებად დასჭრელათ ხმარობენ მანქანებს, რომელნიც თამბაქოს საჭრელ მანქანებს ჰგავან. ამასთან ერთბაშად ლენტების მთელ კონიახდებენ ძაბრში.

გერმანიაში ცომისმაგვარ ნივთიერებას ჯერ გაატარებენ მანქანაში, რომელსაც სამი პარალელი ტაბუცი აქვს. ამათგან ორი ზევით იმყოფება, ერთ ჰორიზონტალ სიბრტყეში; დააყენებენ რა ტაბუცებს ერთი-ერთმანეთისაგან საჭირო დაშორებაზედ, ცომს ჩასდებენ ძაბრში და მიიღებენ დიდ ფურცლების სახით, რომელთაც შიგნით გამხსნის ორთქლისა და ზოგადად ჰაერის ბურცები ხდება. ფურცლებს ხელ-ახლა გაატარებენ მეორე ტაბუციან მანქანაში, რის შემდეგ თანდათანობით ათავისუფლებენ ბურცებიდან და თანდათანობით გამჭვირვალე ხდებიან. თუ ამზადებენ ისეთი ხარისხის დენთს, რომლისთვისაც საჭიროა სქელი ფირფიტები, მაშინ ერთმანეთზედ აწყობენ გამჭვირვალე წვრილ ფირფიტებს რამოდენიმე შრეებათ და გაატარებენ იმავე ტაბუცებში ისე, რომ შრეების შუა მომხვდარი ჰაერი განუწყვეტლივ გადიოდეს. ამ გვარად მიღებულ ფურცლებს შემდეგ სჭრიან.

საბოლოვოდ ტილოს თახჩებზედ საშრობ შკაფებში აშრობენ, სადაც ტემპერატურა 50 გრადუსს არ უნდა აღემატებოდეს. საშრობიდან გამოღების შემდეგ, დენთი შეითვისებს ჰაერის სინესტეს 0,5—0,6-, რის შემდეგ ერთმანეთში აურევენ, რათა დამზადებული პარტიები ერთგვარი შედგენილებისა და თვისებისა იყვეს. დამზადებული დენთი ინახება დახშულ ყუთებში. დენთის ფირფიტების სისქე სხვა და სხვაგვარ ქვემეხებისათვის იცვლება 0,26მმ დან— 4მმ-მდე. თანამედროვე პიროქსილინის დენთი ფოლადის გრდემლზედ ჩაქუჩის დარტყმით ფეთქდება ჰაერზედ ცეცხლის მოკიდებით იწვის ცოტად თუ ბევრად — სწრაფად, უკვამლო ალით, ერთ ფირფიტის ალის ჩაქრობა პირით შეიძლება, რუსეთში პირველად უკვამლო დენთით ისროლეს 1893 წელში.

**გ. ბარნაბიშვილი.**

## სამხედრო საქმე

### საეტაპო ანუ საკომუნიკაციო ხაზი.

ეტაპების რაიონი შეიძლება იყოს გავრცელებული ან საკუთარ ტერიტორიის ნაწილში ან მტრის ქვეყნის ნაწილში. ეტაპების რაიონი უშუალოთ შეეხებიან მომქმედ არმიის საოპერაციო რაიონის ზურგს. საეტაპო რაიონი უკანასკნელ შემთხვევაში, ვრცელდება ზურგში სახელმწიფოს საზღვრამდე ან და მოწინააღმდეგის ოლქის საზღვრამდე. წარსულ იმპერიალისტურ ომის დროს კავკასიის ფრონტზედ საეტაპო რაიონი ზურგში კავკავამდე ვრცელდებოდა.

არმიის საეტაპო ხაზი, საკომუნიკაციო ხაზი, ჰქვია ისეთ გზებს, რომელნიც აკავშირებენ მომქმედ საველე არმიის სამშობლოსთან, ეს ხაზები აერთებენ ჯარს სხვადასხვა მომარაგების დარგთან, ეს ხაზები ასაზრდოვებენ არმიას როგორც სურსათ სანოვაგით, ისე საარტილერიო მარაგით და ცოცხალი ძალით. საეტაპო ხაზით ჯართან მოდის სანოვაგე რომლის ადგილობრივ შოვნა შეუძლებელია, ამ გზებზედ მოძრაობს ახალი არმიის შესავსებათ, ამ გზებით იგზავნებიან სამშობლოში დაჭრილნი, ავათმყოფნი, ტყვეები, ნადავლი ან უვარგისი ქონება. არმიას რაც უფრო ბლომად აქვს ყოველგვარ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი დამხმარე საშუალებანი, მით სამხედრო მოქმედების ასპარეზი მდიდარია სანოვაგით, ნაკლებად დამოკიდებულია სამშობლოსთან შემაერთებელი ხაზისაგან და მით უფრო თავისუფალი იქნება მისი მოძრაობა. არმიას დიდხანს არ შეუძლია იოლად წავიდეს, თუ სამშობლოსთან მას არ ექნება უზრუნველყოფილი კავშირი.

სასროლ მასალის მარაგი მუდამ სჭირია ჯარს, წარსულ ომებში ამისათვის სარგებლობდენ წართმეულ სასროლი მარაგით, მხოლოდ როდესაც დიდი არმია ჰმოქმედობს, საომარ ოპერაციათა წარმატება უაღრესად დამოკიდებულია საეტაპო ხაზის რიგიანობით და განუწყვეტელობით, ვინაიდან თანამედროვე ბუმბერაზი არმიის გამოკვება ადგილობრივ საშუალებით შეუძლებელია, ამიტომ საჭიროა საეტაპო ხაზის საიმედოთ მოწყობა. ურიგოთ დაყენებული საქმე, მოთხოვნილებათა თავისდროული შეუსრულებლობა, შეაფერხებს ოპერაციათა წარმოებას. წარსულ ომში იმ ფრონტებზედ, სადაც საეტაპო ხაზები თავის სიმაღლეზედ იდგა, ჯარს არაფერი მოჰკლებია და იქ სადაც ეს ვერ იყო მოგვარებული ჯარი განიცდიდა ხოლმე დიდ გაჭირვებას, რაც აფერხებდა დასახულ ოპერაციების დროზედ შესრულებას. უპირველესად ყოვლისა საჭიროა იქმნეს დაცული მომქმედ არმიის ამ უმთავრესი ძარღვის ღირსეულად მოწყობისა და შენახვისა.

**გ. ბ.**

---

**დავკარგე** პოლიგრაფიულ განყოფილების მიერ მოცემული პირადობის მოწმობა, რომელზედაც იყო დაკრული სანიტარული და ჰიდრო-ელექტრონის საგადასახადო მარკები და პირველ ცხენ. ლეგიონიდან მოცემული წით. არ. წიგნაკი № 113. ივანე ბეგლარის-ძე ათაბეგოვის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

**დავკარგე** საბჭოთა მოსამსახურეებ. პროფკავშირიდან გაცემული საწევრო წიგნაკი და ქარ. დივ. კოოპერატივის საწევრო წიგნაკი სილიბისტრო მიზარბეგის-ძე ახალაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დავკარგე** წიგნაკი № 4429, 10 იანვრის თარიღით პროფკავშირიდან გაცემული აგრაფენა ბერიძის სახელზედ. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დავკარგე** თბილისის მე-10 კომისარიატიდან მოცემული სამხედრო აღრიცხვის მოწმობა № 441 ივანე ლაზარეს-ძე ხარჩილავას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1200. სამხედრო სტამბა
პასუხისმგებელი რედაქტორი— ლ. ჩანტლაძე.